18th International Silk Road Conference

PROCEEDINGS BOOK

October 18-19, 2023

18th International Silkroad Conference

აბრეშუმის გზის მე-18 საერთაშორისო კონფერენცია

SILK ROAD
CONFERENCES

Proceedings Book

October 18-19
2023 - Tbilisi

Editor

Assoc. Prof. Givi Amaglobeli

Editor's Assistant

Ph.D. c. Hakan Ergun

Publisher

International Black Sea University, LLC

e-proceedings are available at www.silkroad.ibsu.edu.ge

Contact: silkroad@ibsu.edu.ge

ISBN: 978-9941-8-3041-9

Organized by: International Black Sea University (IBSU); Tbilisi/Georgia

Zwickau University of Applied Sciences (WHZ); Faculty of Business and Economics; Zwickau/Germany

Co-Organized by: Armenian State University of Economics; (https://asue.am/)

East Asia Centre of the Zwickau University of Applied Sciences (HWZ);

(https://www.ostasien-zwickau.de/)

College of Applied Psychology; Czech Republi https://www.vsaps.cz/

Research Center for International Studies, International Black Sea University;

https://centers.ibsu.edu.ge/index.php/en/

Multidisciplinary Research Center, International Black Sea University;

https://centers.ibsu.edu.ge/index.php/en/

AMBERD Research Center of the Armenian State University of Economics;

(https://asue.am/amberd)

PAPERS

The key role of languages in the field of economy / ენების საკვანძო როლი ეკონომიკის სფეროში

Gulnara Diasamidze, Khatuna Tabatadze / გულნარა დიასამიძე, ხათუნა ტაბატაძე 8

Communication and teamwork; Ensuring employee motivation through effective internal information flow within the organization

Ana Kazaishvili, Lia Khmiadashvili, Rusudan Beriashvili 16

Steimatzky: Creative Advertising of Books and Reading Promotion

Miamlina Antonina V. 23

Priest in Life and Literature at the Turn of the Nineteenth-Twentieth Centuries / სამღვდელო პირი ცხოვრებასა და ლიტერატურაში მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე

Merab Ghaghanidze / მერაბ ღაღანიძე 31

Development of the Digital Banking Industry in the Covid and Post-Covid Environment / საბანკო ციფრული ინდუსტრიის განვითარება კოვიდისა და პოსტ-კოვიდურ გარემოში

Toidze Tinatin, Djghamadze Nino / თოიძე თინათინ, ჯღამაძე ნინო 39

Impact of working capital management on Georgian wine producing companies› profitability / საბრუნავი კაპიტალის მართვის გავლენა საქართველოს ღვინის მწარმოებელი კომპანიების მომგებიანობაზე

Tea Kasradze, Papuna Gikorashvili / თეა კასრაძე, პაპუნა გიქორაშვილი 52

Criminal subculture in the form of «thieves in law» as an asymmetric threat phenomenon and its impact on the development of the political system / კერძო სამხედრო კომპანიების სიმბიოზი კრიმინალური სუბკულტურასთან („კანონიერი ქურდების“ სახით), როგორც ასიმეტრიული საფრთხის ფენომენი და მისი გავლენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე

Lasha Bregvadze / ლაშა ბრეგვაძე 62

The establishment and demise of businesses in Slovakia in the pandemic year of 2021

Michal Levický, Marta Urbaníková, Viera Papcunová 75

Visual block programming in the cloud technology - Code.org / ვიზუალური ბლოკური პროგრამირება ღრუბლოვან სივრცეში Code.org ტექნოლოგია

Mariam Zakariashvili / მარიამ ზაქარიაშვილი 84

Maritime Transportation, Maritime Trade And Shipbuilding In Anatolia In The 2nd Millennium Bc

Babür Mehmet AKARSU 93

Issues of business process reengineering and implementation of ERP systems / ბიზნესპროცესების რეინჟინერინგისა და ERP სისტემების დანერგვის საკითხები

Nato Bebiashvili , Teimuraz Berdzenishvili, Archil Grigalashvili, Ekaterine Gobejishvili / ნატო ბებიაშვილი,

თეიმურაზ ბერძენიშვილი, არჩილ გრიგალაშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი **94**

Applied Business Models: Educational Programs Collaborating with Industry as Viable Systems

Teona Maisuradze **103**

Corruption and Sustainable Development: Georgian Perspective

Tea Kasradze, Tornike Shermadini, Irakli Petriashvili **113**

Startups and innovations as an important part of economic development

Veronika Tóthová, **Milan Fiľa** **121**

Tracing the Roots of Culture in Shimla Hills: Where Folklore and History Converge

Vikram Bhardwaj, Usha Sharma **131**

Artistic depiction of pain in Lia Sturua›s poetry and literary parallels with foreign authors / ტკივილის მხატვრული ასახვა ლია სტურუას პოეზიაში და ლიტერატურული პარალელები უცხოელ ავტორებთან

Maia Kvirkvelia / მაია კვირკველია **138**

Television Space and «Civil War» The events of 1991-1993 in terms of cultural trauma / სატელევიზიო სივრცე და „სამოქალაქო ომი“ 1991-1993 წლების მოვლენები კულტურული ტრავმის ჭრილში

Maya Kvrivishvili / მაია ქვრივიშვილი **147**

Characters and narrative strategies in Archil Kikodze's novel "The Lizard on the Tombstone" / გმირები და თხრობის სტრატეგიები არჩილ ქიქოძის რომანში — „ხვლიკი საფლავის ქვაზე“

Tamta Ghonghadze / თამთა ღონღაძე **164**

Digital Advertising Activities in Georgia - Employment Challenges and Opportunities / ციფრული სარეკლამო საქმიანობები საქართველოში - დასაქმების გამოწვევები და შესაძლებლობები

Ucha Gogidze / უჩა გოგიძე **172**

ქართული სუფრა ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიებში / Georgian Supra in Anthropological Encyclopaedias

Giorgi Kipiani / გიორგი ყიფიანი **178**

ქართული სუფრა ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიებში

გიორგი ყიფიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, giorgi.kipiani@tsu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში მოცემულია ინგლისურენოვან ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიებში, კერძოდ ანთროპოლოგიის ღია ენციკლოპედიასა (2016) და არაფორმალურობის გლობალურ ენციკლოპედიაში (2018) ქართული სუფრის დახასიათებათა ანალიზი.

ანთროპოლოგიური ღია ენციკლოპედიის (Open Encyclopedia of Anthropology) სტატიაში „ნადიმობა“ ქლო ნაჰუმ-კლოდელი ქართულ სუფრას ახასიათებს როგორც ავტორიტარულ და გენდერულად მადისკრიმინირებელ ტრადიციას. აქ გვიანი საბჭოთა პერიოდის სუფრა აღიწერება, როგორც მხოლოდ მამაკაცების ნადიმი, რომლის დროს ქალები ამზადებენ საკვებს, ფეხზე მდგომნი ემსახურებიან, მაგრამ არასოდეს არ ხდება პირიქით, კაცები რომ ქალებს ემსახურებოდნენ.

არაფორმალური პრაქტიკების გლობალური ენციკლოპედიის (The Global Encyclopedia of Informality) სპეციალურ ქვეთავში “Sadgerdgzelo” ფლორიან მიულფრიდი განიხილავს ქართულ სუფრას, როგორც მრავალსადღეგრძელოიან ცერემონიას და ახასიათებს როგორც მე-19 საუკუნის პროდუქტს, რუსული კულტურიდან ნასესხებ ტრადიციას. სტატიის მიხედვით ქართული სუფრა განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს გვიანი სოციალიზმის პერიოდის საქართველოში. მიულფრიდი სადღეგრძელოს თანამედროვე საქართველოში უკვე მავნე ჩვეულებებთან ასოცირებულად მიიჩნევს. ქართული სუფრის ასეთი დახასიათება, ერთის მხრივ ეწინააღმდეგება სუფრის ტრადიციის შესახებ ისტორიულ წყაროებში არსებულ ცნობებს დაწყებული მე-17 საუკუნიდან. მეორეს მხრივ წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ იდენტობასთან, რადგან ქართული სუფრა 2017 წლიდან დასახელებულია როგორც ეროვნული სულიერი მემკვიდრეობის არამატერიალური ძეგლი, რომელიც მრავალსაუკუნოვან ტრადიციად განიხილება. ის ქართველი ხალხის მიერ მიიჩნევა სოციალური ურთიერთობების კულტურულ სივრცედ, რომლის გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა ქართველი ერის ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება.

ორივე პუბლიკაციაში მოყვანილი მასალები ქართული სუფრის შესახებ ეყრდნობა ფლორიან მიულფრიდის და პოლ მანნინგის პუბლიკაციებს ქართული სუფრის შესახებ. ეს ავტორები თავის ნაშრომებში ახდენენ იმ კვლევათა იგნორირებას, რომელთა მიხედვით დასტურდება ქართული სუფრის მრავალსაუკუნოვანი ისტორია (გოცირიძე 2001, 2007; ფრუიძე, 2007; Гоциридзе , Кипиани , 2011, Kipiani 2015). ამ კვლევათა მიხედვით

სუფრის მთავარ შინაარსს რელიგიური ელემენტები ქმნიდნენ და მასში მამაკაცების თანაბრად მონაწილეობდნენ მანდილოსნებიც, ამასთან იერარქიის სხვადასხვა დონის წარმომადგენლებს შორის არსებული სოციალური დისტანცია საქართველოში ბევრად მცირე იყო, ვიდრე იმდროინდელ სპარსეთში, რუსეთსა და ევროპაში. ყოველივე ეს ავთენტურ ხასიათს ანიჭებდა სუფრას საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით სტატიაში ასევე განხილულია, თუ რომელი სოციოლოგიური ფაქტორები განაპირობებს ქართული სუფრის თავისებურებათა ჩამოყალიბების ცალმხრივ ხედვას ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიებში.

საკვანძო სიტყვები: ქართული სუფრა, სადღეგრძელო, ეროვნული იდენტობა, იდეოლოგია, ანთროპოლოგია.

Georgian Supra in Anthropological Encyclopaedias

Giorgi Kipiani

Abstract

The article provides an analysis of the characteristics of the Georgian Feast in English-language anthropological encyclopeadias, namely the Open Encyclopedia of Anthropology (2016) and the Global Encyclopedia of Informality (2018).

In the article by the Open Encyclopedia of Anthropology Chloe Nahum-Claudel characterizes the Georgian Supra as an authoritarian and gender-discriminating tradition. Here, the Supra of the late Soviet period is described as a men-only feast served by standing women, and never the other way around.

In a special sub-chapter "Sadgerdgzelo" Florian Muelfried (in the The Global Encyclopedia of Informality,) considers the Georgian traditional Feast as a structured multi-toast ceremony and characterizes it as a product of the 19th century, a tradition borrowed from Russian culture. According to the article, the Georgian Supra gained special popularity in the period of late socialism in Georgia. Muelfried considers toasting already associated with harmful customs in modern Georgia. Such a characterization of the Georgian table, on the one hand, contradicts the description of Georgian Supra in historical sources beginning from 17th century, on the other hand, it contradicts the national identity, because since 2017, the Georgian table has been designated as an intangible national heritage, which is also considered a centuries-old tradition by the Georgian people. It is considered a cultural space of social relations, without which it would be impossible to preserve the national identity of the Georgian nation.

In their works, these authors ignore the studies that confirm the centuries-old history of the Georgian table (Gotsiridze 2001, 2007; Fruidze, 2007; Gotsiridze Г, Кипиани Г. 2011, Kipiani, 2015).

According to these studies, the main content of the table was made up of religious elements, and women participated equally with men, and the social distance between representatives of different levels of the hierarchy was much smaller in Georgia than in Persia, Russia and Europe at that time. All this gave an authentic character to the Feast in Georgia compared to the neighbouring countries. The article also discusses which sociological factors determine the one-sided view of the formation of the peculiarities of the Georgian table in anthropological encyclopaedias.

Keywords: Georgian Supra, toasting, national identity, anthropology, ideology

ქართული ტრადიციული სუფრა 2017 წლიდან დასახელებულია როგორც ეროვნული სულიერი მემკვიდრეობის არამატერიალური ძეგლი, რომელიც მრავალსაუკუნოვან ტრადიციად განიხილება ქართველი ეთნოგრაფების მიერ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ტრადიციული სუფრის წესი მიჩნეულ იქნა სოციალური ურთიერთობების კულტურულ სივრცედ, რომლის გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა ქართველი ერის ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება. სუფრის ტრადიცია საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ქართველთა სიამაყისა და ღირსების განმსაზღვრელ მოვლენას, ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან მარკერს. არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭებით სუფრის ტრადიცია ახლა კიდევ უფრო მეტად მოექცა ქართველებისა თუ უცხოელთა ყურადღების ფოკუსში.

ამ დროს ინგლისურენოვანი ანთროპოლოგიური ღია ენციკლოპედიის (Open Encyclopedia of Anthropology) სპეციალურ სტატიაში „ნადიმი“ ქლო ნაუმ-კლოდელი (Nahum-Claudel, Ch. 2016) პოლ მანინგის პუბლიკაციაზე (Manning, P. 2012) დაყრდნობით ქართულ სუფრას აღწერს, როგორც ნადიმის რადიკალური მაგალითს - ავტორიტარულ და გენდერულად მადისკრიმინირებელ ტრადიციას. პოლ მანინგი მიერ გვიანი საბჭოთა პერიოდის ქართულ სუფრას ახასიათებს, როგორც მხოლოდ მამაკაცების ნადიმს, რომლისთვისაც ქალები ამზადებენ კერძებს, შემდეგ კი ფეხზე მდგომნი ემსახურებიან სუფრას და მაგრამ არასოდეს არ ხდება პირიქით, რომ მამაკაცები ქალებს ემსახურებოდნენ.

ავტორი ასევე ახდენს პოლ მანნინგის მოსაზრებათა ციტირებას, რომლის მიხედვით თამადის არჩევა სუფრის ყველა წევრის მიერ ფარსია, ხოლო ყველა ქართველი თამადა სტალინის, როგორც დიქტატორის ჩრდილქვეშაა, სუფრის წესის შეცვლაზე დისკუსია კი აღიქმება ქვეყანაში წყობილების შეცვლის ტოლ მოვლენად.

მეორე სტატია ფლორიან მიულფრიდს ეკუთვნის, რომელიც არაფორმალური პრაქტიკების გლობალური ენციკლოპედიის (The Global Encyclopedia of Informality) სპეციალურ ქვეთავში “ Sadgerdzelo” (Mühlfried, F. 2018) განიხილავს ქართულ სუფრას, როგორც მე-19 საუკუნის პროდუქტს, რუსული კულტურიდან ნასესხებ ტრადიციას, მიულფრიდი პირველი აღმოჩნდა ანთროპოლოგებიდან, ვინც განავრცო ფილოლოგ ლევან ბრეგაძის კონცეფცია საქართველოში სუფრის ტრადიციის რუსებისგან გადმოღების შესახებ (ბრეგაძე, 2000)

და განაცხადა, რომ მრავალსადღეგრძელოიანი სუფრა ასევე კავკასიის მასშტაბითაც მე-19 საუკუნემდე არ ფიქსირდება (Mulfried, 2006). ფლორიან მიულფრიდი ამ დებულების საბუთად მოაქვს ბუსბეკის და კონტარინის ჩანაწერები და რაკი ამ აღწერილობებში არ არის სიტყვების „თამადის“ და „სადღეგრძელოს“ და მსგავსი კულტურული პრაქტიკის ხსენება, მიიჩნევს, რომ სუფრის ტრადიცია კავკასიაში რუსეთის გავლენით დამკვიდრდა.

ენციკლოპედიის სტატიაში მიულფრიდი ასევე აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის დროს სადღეგრძელოები ასოცირებული იქნა მავნე ჩვეულებებთან, საბჭოთა მენტალობასა და დროის ფლანგვასთან, ასევე ამ დროს იკლო სუფრების პოპულარობამაც. პრაქტიკულად ფლორიან მიულფრიდი სუფრის ტრადიციას განიხილავს, როგორც საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებულ მოვლენას, რომელსაც უკვე ყავლი გაუვიდა.

ფლორიან მიულფრიდის სტატიაში არ არის ნახსენები, რომ კონცეფცია ქართული სუფრის მე-19 საუკუნეში რუსების მიბაძვით დამკვიდრების შესახებ ფილოლოგ ლევან ბრეგაძეს ეკუთვნის (ბრეგაძე, ლ. 2000), რომელმაც ვერც ლიტერატურულ და ვერც ისტორიულ წყაროებში ვერ ნახა თანამედროვე სუფრის წესის მსგავსი აღწერილობა. ბრეგაძე ასევე აკაკი წერეთლის სიტყვებსაც დაეყრდნო, რომ „წინაპრებმა სამიზეზო სადღეგრძელოები არ იცოდნენ“.

ბრეგაძის კონცეფციის გამოქვეყნებისთანავე გაიმართა საგაზეთო დისკუსია და კონცეფცია რამდენიმე ქართველმა ეთნოგრაფმა გააკრიტიკა (შენგელია რ., 1997, გოცირიძე გ, 2000). აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლევან ბრეგაძის კონცეფცია ქართული სუფრის რუსებისგან გადმოღებისა და ყავლგასულობის შესახებ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2000 წელს მოწყობილ დისკუსიაზე „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“ მხარდაჭერილი იქნა რამდენიმე სოციოლოგისა და პოლიტოლოგის მიერ, თუმცა დისკუსიის ამსახველ კრებულში ვერ ნახავთ არათუ ეთნოგრაფის, არამედ ისტორიკოსის მოსაზრებასაც კი.

ბრეგაძისა და მიულფრიდის კონცეფციას კავკასიაში მრავალსადღგრძელოიანი სუფრის არარსებობის შესახებ ეწინააღმდეგება მთელი რიგი ისტორიული და ლიტერატურული წყაროების მასალები: კერძოდ, ჯორჯიო ინტერიანოს (Интериано Дж., 1974) მე-16 საუკუნის ჩანაწერები, მე-17 საუკუნის კრისტეფორო კასტელის (1976), ჯუდიჩე მილანელის (1964), რუსი ელჩების ვოლკონსკისა და ხვატოვის ჩანაწერები (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615—1640, 1937); მე-18 საუკუნის ქორწილის მრავალსადღეგრძელოიანი სუფრის აღწერა თეიმურაზ პირველის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“ (არჩილ მეფე, თეიმურაზ მეორე, 1976). ეს მასალები დეტალურადაა განხილული ჩვენს პუბლიკაციებში (ყიფიანი 2018, Kipiani, 2018).

აკაკი წერეთლის მტკიცებულებას სამიზეზო სადღგრძელოების არარსებობის შესახებ უარყოფს მის დაბადებამდე ბევრად ადრე ფრანსუა გამბას ჩანაწერები მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, რომ აგიაშვილებთან საწირეში (იმერეთი) დაილია უამრავი სადღეგრძელო (გამბა, 1987, 185 გვ.), ხოლო ხრეითში (იმერეთი) სათითაოდ 27 სტუმრის პერსონალური

სადღეგრძელო თამადამ ისე შესვა, რომ სიმთვრალე არც დასტყობია (გამბა ჟაკ ფრანსუა, 1987, გვ.200).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სუფრის ტრადიციის შესახებ მეორე დისკუსიაც გაიმართა რუსეთში გამოცემულ რუსულ-ინგლისური ჟურნალის Ab Imperio-ს ფურცლებზე. დისკუსიაში მონაწილე ყველა ავტორი სუფრის ტრადიციის რუსებისგან მე-19 საუკუნეში გადმოღების კონცეფციას იზიარებს (Nodia, 2014, Ram , 2014, Manning, 2014, Mühlfried, 2014). სტატიათა ავტორები კიდევ უფრო შორს მიდიან ქართული კულტურის შესახებ ზოგადი დასკვნების თვალსაზრისით: კერძოდ, პოლ მანინგი სტატიაში "ველური სუფრის მოშინაურება" მიუთითებს, რომ საფავიდური ირანის მსგავსად უმეტესად მატერიალურ მოხმარებასა და დათრობაზე ორიენტირებულ ექსკლუზიურად მასკულინური (Manning P. 2014, 61 გვ.) ქართული სუფრა მთვრალ ორგიას - ღრეობას წარმოადგენდა; სულიერება კი ქართულ სუფრაზე მხოლოდ მე-19 საუკუნიდან შემოდის რუსული ლიტერატურიდან სადღეგრძელოების გადმოღებით და შემდეგ სტალინის კულტურული პოლიტიკის ზემოქმედების გამო. მანინგი ასეთ დასკვნის გაკეთებისას მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის პრესის პუბლიკაციებს ეყრდნობა, სადაც ლოთობა და ჩხუბი ქართული სუფრის ყველაზე ხშირი ტიპიური გამოვლინებებია, თუმცა მის წიგნსა და სტატიაში ვერ ნახავთ ამის დამადასტურებელი კონკრეტული მასალების მითითებებს (Manning, 2012, გვ.173, Manning, 2014, გვ.58).

ჰარშა რამი ეთანხმება პოლ მანინგს, რომ რუსულმა სადღეგრძელომ მოახდინა მატერიალურ ქართული სუფრაზე მაცივილიზებელი გავლენა (Ram, 2014, გვ.87) გია ნოდია ასევე ეთანხმება ჰარშა რამს, რომ ქართული სუფრის როგორც კულტურული ფენომენის ჩამოყალიბებაში იმპერიულ კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა (Nodia, 2014, გვ.70). პოლ მანნინგის სწორედ ამ პუბლიკაციებს ეყრდნობა ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიაში ნაუმ -კლოდელი.

როგორც ვხედავთ, ანთროპოლოგიურ ენციკლოპედიებში ქართული სუფრის დახასიათება უცხოელი ანთროპოლოგების ფლორიან მიულფრიდისა და პოლ მანინგის პუბლიკაციათა საფუძველზე მოხდა, რომლებიც ქართული სუფრის შესახებ ინტერნეტშიც კი ადვილად მისაწვდომი ლიტერატურული თუ ისტორიული წყაროებისა და ქართველ ეთნოგრაფთა მოსაზრებების სრულ იგნორირებას ახდენენ.

ქართული სუფრის ტრადიციის ასეთი ტენდენციური გაშუქება ერთის მხრივ აფერხებს როგორც უცხოელი ტურისტის ინტერესს ქართული კულტურის მიმართ, ასევე ქართველი ახალგაზრდობის სოციალიზაციას ეროვნული კულტურის კონტექსტში. უკვე არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა ქართულ მედიაში, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ამკვიდრებს აზრს, რომ სუფრის ტრადიციას მხოლოდ 200 წლიანი ისტორია აქვს (ხაჩიძე, 2012; ეთნოგრაფი..., 2017;). ღვინის კულტურისადმი მიძღვნილ ყველაზე დიდ და კომპეტენტურ საიტზეც კი სუფრის ფესვების შესახებ დისკუსიის შესახებ გამოხმაურება ისეა დასათაურებული, რომ ბუნდოვანებას განცდა უჩენს მკითხველს სუფრის ავთენტურობის

საკითხზე (რამდენად ავთენტურია ქართული სუფრა? 2015).

ქართული სუფრის შესახებ დისკუსიის დაწყების შემდეგ ქართველი ეთნოგრაფების არაერთი შრომა გამოქვეყნდა, რომელიც არ ეთანხმება ბრეგაძის კონცეფციას (გოცირიძე გ 2007, Гоциридзе Г.,Кипиани Г., 2011, მინდაძე ნ, 2021;); ასევე ჩვენს მიერ გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია ქართული სუფრის ავთენტურობის შესახებ (Kipiani, 2015, 2018, 2023). ამის მიუხედავად „სუფროლოგები“ (Tuite K. 2008, მიერ გამოყენებული ტერმინი) ისევ აგრძელებენ პუბლიკაციებს, რომლებშიც საწინააღმდეგო მოსაზრებათა ხსენების გარეშე ქართული სუფრის ტრადიციაში სპარსული და რუსული იმპერიული ან საბჭოთა ავტორიტარული ყოფის გავლენებს ხედავენ და უარყოფენ ქართული სუფრის ტრადიციის ავთენტურ და რელიგიურ კონტექსტს. კერძოდ, ჰარშა რამი აქვეყნებს სტატიას, სადაც ერთერთ ქვეთავს სათაურად არქმევს „რუსული ლხინის გაქართულებას“ (*Рам Х., 2018*), კევინ ტუიტი საჯარო ლექციას ქართული სუფრის შესახებ ასათაურებს შემდეგნაირად - „ქეიფი როგორც ექსტრემალურ სპორტი: აგონიზმი და ქართული სუფრა“ (*Banqueting as an extreme sport: Agonism and the Georgian Supra, 2021*); ფლორიან მიულფრიდი ქართულ სუფრას ისევ საბჭოთა ტრადიციად განიხილავს და სპეციალურ თავს შესაბამისი სათაურით საბჭოთა ტრადიციათა რუსულენოვან ენციკლოპედიაში აქვეყნებს (Mühlfried F. forthcoming).

როგორც ვხედავთ, სუფროლოგების პუბლიკაციები მიზნად ისახავს ქართული სუფრის შესახებ მხოლოდ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გავრცელებას, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებისა და ქართველი ეთნოგრაფების კვლევათა სრულ იგნორირებას ეფუძნება.

ლიტერატურა

არჩილი, თეიმურაზ მეორე, 1976, საქართველოს ზნეობანი, გაბაასება დღისა და ღამისა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 159 გვ.

ბრეგაძე, ლ. 2000. სადღეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება. კრებულში ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება.გ. *ნოდიას რედაქტორობით* გვ., 9-15. თბილისი.

გამბა ჟაკ ფრანსუა, 1987, მოგზაურობა საქართველოში,თბილისი, განათლება, 375 გვ.

გოცირიძე გ. 2001, *ვინ ებრძვის ქართულ სუფრას? ლიტერატურული საქართველო. 23,* გვ.29

გოცირიძე გიორგი, 2007, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, ილ. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 386 გვ.

ეთნოგრაფი - საქართველოში თამადის ინსტიტუტი სულ რაღაც 200 წლისაა 20 ივნისი, 2017. https://allwine.ge/ka/blog/etnografis-azrit-saqartvelosi-tamadis-instituti-sul-rarac-200-wl-isaa_624/. *ნანახია* 9.03.2024.

კრისტოფორო დე კასტელი, 1976, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ / დონ; ტექსტი გაშიფრა ბეჟან გიორგაძემ, თბილისი: მეცნიერება, 457 გვ.

მინდაძე ნ. 2021, ქართული სუფრა. კონფერენციის „მუზეუმი და ქართული მემკვიდრეობა“ მასალები, 1056-1073 გვ,

ნოდია გ. (2000), ქართული სუფრა დემოკრატიის პირისპირ: რედაქტორის წინათქმა. ქართული სუფრა და სამოქალაქო საზო გადოება,დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში - 4 (5-8), თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამოცემა.

ფრუიძე ლ. (2007), ქართული სუფრის ფენომენს ნუ გავაუბრალოებთ, „ლიტერატურული საქარ თველო“, 02. 02.# 4.

რამდენად ავთენტურია ქართული სუფრა? 15 ივნისი 2015 წელი. http://vinoge.com/pa-tara-WiqebiT/ramdenad-avTenturia-qarTuli-sufris-tradicia, ნანახია 8.03.2024.

ხაჩიძე ნ. 2012, როგორ გააჩინა რუსულმა იმპერიამ საქართველოში უქმეთა ფენა და მრავალსადღგრძელოებიანი სუფრის ტრადიცია. თბილისელები. 2 .04

ყიფიანი. გ.2019. ქართული სუფრის აუთენტურობა ისტორიულ წყაროებში. არქივმცოდნეობის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 215- 226 გვ

ჯუდიჩე ჯუზეპე, 1964, წერილები საქართველოზე : XVII საუკ. / - თბ. : „საბჭ. საქართველო“, 135 გვ.

შენგელია რ. კარგია და არ არის კარგი (ლ. ბრეგაძის `სადღეგრძელოს...˜ გამო) გაზ. `არილი˜, 13-19. 03. 1997, #10 (57), გვ. 1-2, 5

Гоциридзе Г.,Кипиани Г., 2011, Литургическая природа традиции и поиск идентичности в современной Грузии (на примере грузинского застолья) https://muep.mau.se/bitstream/handle/. ნაწახია 8.03.2024

Рам Х. К вопросу о поэтических источниках грузинского тоста . Россия–Грузия после империи: Сборник статей / Сост. Мирья Лекке, Елена Чхаидзе. — М.: Новое литературное обозрение, 2018. 163-182.

Материалы по истории грузино-русских взаимоотношений . 1615—1640. , 1937 — Тбилиси: Изд-во Тбилисского гос. ун-та. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов-М. 487с.

Интериано Дж., Быт и страна зихов, именуемых черкесами. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Эльбрус. Нальчик. 1974

Banqueting as an extreme sport: Agonism and the Georgian Supra, November 5 2021, Seminar series "Meet Georgian Culture at Malmö University", https://www.youtube.com/watch?v=WxpPNu-8jw6U accessed 8.03.2024

Gotsiridze G., Kipiani G.,Liturgic Nature of Tradition and National Identity Search Strategy in Modern Georgia: Case of Georgian Banquet, Caucasus Studies 3 Conference in the fields of Migration – Society – Language, 28-30 November 2008, p.34-36.

Kipiani G. Roots of Modern Georgian Sufra: Religious Ritual or Imperial Patrimony? In Proceedings of International Kartvelological Congress I Problems and Prospects of Kartvelology 2015, pp. 101-102.

Kipiani G. Anthropology of Alcohol Drinking and Toasting in Early Modern Georgia and Caucasus. In Proceedings of International Conference on History, Art, Literature and Culture in South Caucasus and Black Sea Region. Tbilisi. 2018, p.49-55.

Kipiani G. Psycho-cultural Patterns of Toasting in Caucasus and Debate on the Roots of Feasting Traditions in Caucasus, Proceedings of Conference "The Caucasus On The Crossroads Of International Trade ´Erevan, 2023.

Manning, P. 2012. The semiotics of drink and drinking. London: Continuum. 345 p.

Manning P. 2014,, Domestication of the Wild Supra, Ab Imperio 4, pp. 53-62

Mühlfried, F. Postsowjetische Feiern: Das Georgische Bankett im Wandel. Stuttgart, 2006. 226 p.

Mühlfried, F. 2014. 'A Taste of Mistrust,' Ab Impero 4: 63-8

Mühlfried, F. 2018. Sadghegdrzelo In: Ledeneva, Alena, Anna Bailey, Sheelagh Barron,Elizabeth Teague and Constanza Curro (eds): Encyclopaedia of Informality. London:UCL Press: 396-400, 417 https://www.in-formality.com/wiki/index.php?title=Sadghegrdzelo_(Georgia). accessed 8.03.2024

Mühlfried, F. Gruzinskoe zastol'e - sovetskii ritual? [The Georgian Banquet - A Soviet Ritual?]. In: Arkhipova, Aleksandra, Gabowitsch, Mischa and Aleksandr Fokin (eds.): Ot Il'yicha do magarycha: entsiklopediya sovetskikh ritualov [From Ilyich to Magarych: An Encyclopedia of Late Soviet Rituals]. Moscow: Novoe literaturnoe (forthcoming) https://faculty.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2019/06/muehlfried_publications_short.pdf accessed 8.03.2024

Nahum-Claudel, Ch. 2016 2023. "Feasting". In The Open Encyclopedia of Anthropology, edited by Felix Stein. in The Cambridge Encyclopedia of Anthropology. https://www.anthroencyclopedia.com/printpdf/108. accessed 8.03.2024

Nodia G. The Values of the Georgian Supra: Nationalist or Nativist? Ab Imperio 2014, 4, pp. 69-74

Ram H. The Literary Origins of the Georgian Feast: The Cosmopolitan Poetics of a Na- tional Ritual pp. 19-52 Ab Imperio 2014, 4,